„ტელემაქეა”

(გიორგი ჩალაძე)

მონო პიესა

(პიესა არის დაწერილი ერთი მსახიობისათვის,რომელმაც, ყველა წარმოდგენილი პერსონაჟი თავად უნდა განასახიეროს, თუმცა რეჟისორს შეუძლია სურვილისამებრ გაანაწილოს როლები რამოდენიმე მსახიობზეც).

სანაპირო. ღამეა. შემოდის ტელემაქე, მას ჯინსი და მაისური აცვია, ხელში ფანარი უჭირავს, რომელსაც ანთებს და აქრობს. სამჯერ ხანმოკლე სინათლე, სამჯერ- ხანრძლივი, შემდგომ კვლავ სამჯერ-ხანმოკლე სინათლე. ეს ყოველივე რამოდენიმეჯერ მეორდება.

ტელემაქე – მამა!... მამა!... **(კვლავ ფანარს ანთებს და აქრობს იგივე თანმიმდევრობით, როგორც პირველად)** მამა!.. მამა!.. უკვე აღარც მახსოვს რამდენი ხნის წინ დავტოვე მშობლიური ითაკა და შენს საძებნელად წამოვედი... რაც ტროას დასაპყრობად გაემგზავრე, ჩემი ბავშვობის შემდგომ თვალით არ მინახიხარ... დედა მარწმუნებდა, დაბრუნდებაო...ჰმ...დედა... საერთოდ არსებობ კი?.. იქნებ, ეს გონების უკბილო ხუმრობაა, რათა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ინდივიდმა თავს რაიმე არ ავნოს?..გამოგონილი ხატები... ერთგვარი ნარკოტიკი თვითგადარჩენისთვის... მამა!.. მამა!.. **(იმეორებს ფანრის რიტუალს)...** ერთი აბსტრაქტული სახელმწიფო წყობიდან მეორეში გარდატეხილი სასიძოები სმა-ჭამით ვერ ძღებიან... გამდიდრება...ქონების მიტაცება... ექსპლოატაცია...

(განასახიერებს ანტინოეს) You are not human! You are workforce! You are not human, you are workforce! You are not human, you are workforce! წრიპ-წრიპ! წრიპ-წრიპ! პატარა ანტინოეები... პატარა საყვარელი ანტინოეები... ანტიკო... ანტიკუნა... წრიპ-წრიპ... მოდი...ნუ გეშინია... **(ჯიბიდან ფხვნილს იღებს და ირგვლივ მიმოაბნევს)** წრიპ-წრიპ...კრონ-კრონ...წრიპ-წრიპ...კრონ-კრონ...

იცით, რას ნიშნავს კრონი-კაპიტალიზმი?... კრონი-კაპიტალიზმის პირობებში ხელისუფლება ხალხის ფულს, რა თქმა უნდა, პირადი ინტერესების მიხედვით, ყველა მიმართულებით ხარჯავს, ანუ თავადაც მოსყიდულია და სხვასაც ყიდულობს... მოქალაქეების ფული სასიძოების გავლენების შესანარჩუნებლად და გასაფართოვებლად იხარჯება. საფრთხის შემთხვევაში კი, თავად მოქალაქის წინააღდეგ იქნება გამოყენებული... გადამხდელის ფული იფლანგება!!! წრიპ-წრიპ!.. მწარმოებელი რომელიმე წარმოდგენილი ინსტიტუციის პირდაპირი მოკავშირეა, უფრო სწორად კი-ხელისუფლების ფინია!.. მთავარია, სასიძოებს მოაწონო თავი, წრიპ-წრიპ!!! სასიძოები თქვლეფენ... წრიპ-წრიპ... ეკონომიკური მოდელი, სადაც მწარმოებლის წარმატება დამოკიდებულია პოლიტიკური კლასის კეთილგანწყობაზე... შედეგი? - განადგურებული მუშათა კლასი!.. you are not human, you are workforc!… ღრუტ-ღრუტ... კრონ-კრონ... ვირთხები ყველგან ვირთხები არიან!..

მამა!.. მამა!.. **(რამდენჯერმე იმეორებს ფანრის რიტუალს)** გადმოცემის მიხედვით, ოც წელზე მეტი გავიდა, რაც ითაკა დატოვე...წელი, თუ - საუკუნე? არ მახსოვს... უამრავი ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები... მოკლეს... ცოცხალია და შინ მალე დაბრუნდება... ილიონიდან უკან მომავალი, შტორმში მოყვა და თევზები ხრავენ მის ძვლებს... დაზუსტებით ვერაფერს გაიგებს კაცი!.. როდესაც სხვები დაბრუნდნენ, შენ არსად ჩანდი და სასიძოებიც გამოჩნდნენ... დიდად არ გაჭირვებიათ ითაკას ჰავასთან ადაპტაცია... ღრუტ-ღრუტ... დედა?.. დედა ქსოვს... ჰო, ქსოვს და კერავს... შესაძლოა, ქარგავს კიდეც... თითები სულ დაჩხვლეტილი აქვს დედიკოს **(იღიმის)**... **(განასახიერებს პენელოპეს)**-სუდარას გმირი ლაერტისთვის ვქსოვ, თუ გაწირავს წუთისოფელი, ხომ გამკილავენ აქაველი ქალები, ცხედარი არ გააპატიოსნაო?.. **(პენელოპე).**

პატიოსნება... საიდანღაც მეცნობა ეს სიტყვა, იშვიათად თუ გაიგონებს დღეს კაცი...

დედა, დედიკო, შენი ნაქსოვი სუდარა საქორწილო კაბას მაგონებს... კაბას?.. ნუ ღელავ დედიკო, სუდარაც ხომ საქორწილო კაბაა...

სასიძოები დრო და დრო ერთმანეთს დაერევიან, ხან ერთი გმინავს-აჰ...ხანაც მეორე-აჰ... ღრუტ-ღრუტ... ყველას მონოპოლია სურს!

- დედა... დედიკო, იცი, რომ ყველას შენი გაჟიმვა უნდა?!

ნამდვილად ვარსებობ?.. მხედავთ? ნამდვილად ვარ აქ და-ახლა?! რით შემიძლია დავატკიცო, რომ ვარსებობ?.. თითოეული თქვენგანი როგორ ამტკიცებს თავის არსებობას?.. დეკარტი? ვაზროვნებთ კი? ან, რისი მაქნისია ეგ თქვენი აზროვნება?!. ერთმანეთის განადგურებას ვერ ბედავენ... დანაკარგი დიდი იქნება... თქვლეფენ და ელიან დედიკოს არჩევანს... ღრეობენ და ელიან...

მამა!.. მამა!..

ანეტას ვესტუმრე... ანეტა? მეტრი და სამოცდახუთი-სამოცდაშვიდი... ასე ორმოცდაათი-ორმოცდათხუთმეტი კილოგრამი... ყოველთვის გამომწვევად ჩაცმული კომპაქტური გოგონა, კომპაქტური ბინით... „გამარჯობა, ანეტა...“ **(განასახიერებს ანეტას... კანკალებს და ღრმად სუნთქავს).**

-პანიკური შეტევა მაქვს! **(ანეტა).**

-მოხდა რამე? **(ტელემაქე)**.

ვაკვირდები, ვცდილობ მივხვდე, მართლა აქვს „შეტევა,“ თუ იგონებს... ყველას სურს, რომ გამორჩეული იყოს, ზოგი ავადმყოფობასაც კი მიმართავს ამის დასამტკიცებლად...

- არ ვიცი, გითხრა თუ, არა...**(ანეტა).**

-მითხარი და მერე გადავწყვითოთ, ღირდა, თუ არა თქმა. **(ტელემაქე)**.

-არა ,არ შემიძლია, მომკლავენ!.. **(ანეტა კანკალს და სუნთქვას უმატებს).**

თმაში ხელს ვავლებ და საწოლზე ვაგდებ... ეს ყოველთვის ამშვიდებს...

-იტყვი, თუ-არა?! **(ტელემაქე)**.

-გუშინ ჩემთან ანტინოე იყო სხვა სასიძოსთან ერთად...აჰ!.. ყური მოვკარი...აჰ!.. ამბობდნენ... ბიჭი... უნდა მოკვდესო...აჰ!.. უკვე გაიზარდა და საფრთხეს შეგვიქმნისო...**(ანეტა).**

-კიდევ... კიდევ თქვეს რაიმე?..**(ტელემაქე).**

- მოკავშირეებს გაიჩენს... მოძლიერდება და შემდეგ უფრო გაჭირდებაო დამარცხება...**(ანეტა).**

რაც შეიძლება მალე უნდა დავტოვო ითაკა!..მეორე დღესვე აქაველების კრება მოვიწვიე... დახმარება ვითხოვე მათგან...

-რაც მამაჩემი აგამემნონს ტროას ასაღებად გაჰყვა,სასიძოები სახლში ჩამისახლდნენ... დედაჩემის გადაწყვეტილებას ელიან და თან ყველაფერს მუსრს ავლებენ...

-მამაშენი რომ ცოცხალი იყოს,დიდი ხნის წინ დაბრუნდებოდა, დროზე აირჩიოს დედაშენმა საქმრო, გათხოვდეს და ქონებაც არ დაგეკარგება. უკვე ისედაც დიდი ხანია გვატყუებს...**(ანტინოეს ხმა გაისმა)**.

არავინ ხმას არ იღებს...**(გაღიზიანებული აფურთხებს)** მათი უმეტესობა უკვე სასიძოების მოკავშირეა..არავის სურს სავსე გობს თავი ანებოს... ღრუტ-ღრუტ... ღრუტ-ღრუტ...

ითაკადან გასვლა რთულია... თვალს მადევნებენ... გვარის მოსპობა უნდათ... არც ჯარი მიმაგრებს ზურგს და არც ითაკას მოსახლეობა იწუხებს თავს... დიდი არაფერი, მაგრამ კლდოვანი კუნძული მაინც მშვენიერი საკბილოა... სასიძოები არ დამინდობენ...ყველა ხომ საკუთარი თავით იწყებს ახალ ეპოქას?!.

მამა!.. მამა!..

ყველგან გვამებია... ითაკა გვამებზე დგას - ბავშვების, ქალების, გადამხდელების გვამებზე... სასიძოს სასიძო მოსდევს, დანაშაულს - დანაშაული... ღრუტ-ღრუტ...კრონ-კრონ...**(წყლის ზედაპირზე გვამები ამოტივტივდნენ).** სადაც არ არის სამართლიანობა, იქ არ არის მშვიდობა! **(წყლის ზედაპირი თანდათან მიცვალებულებით იფარება)** სადაც არ არის სამართლიანობა, იქ არ არის მშვიდობა?.. ეჰ, მარტინ, მარტინ... ითაკაში მშვიდობას არაფერი ესქმება...

Everything will be alright… Everything will be alright…ყურში ანეტას ღიღინი ჩამესმის...სულელი გოგო...

სად ვართ? აქ რას ვაკეთებთ? სად მივდივართ?..

მამა!.. მამა!.. **(ფანრის რიტუალი).**

ღამეა... ვცდილობ, ისე გადავაადგილდე, რომ არავინ დამინახოს...ხმა გაისმა... კედელს ვეფარები... თუ შემამჩნიეს, დაეჭვდებიან... გაყალბებული საბუთებით... ყალბი უფლისწული - გაყალბებული იდენტობით...

თევზსაჭერ ნავზე ვარ... პილოსის მიმართულებით მივცურავთ... სასაცილოა, არა? სამშობლოს ვემალები... კუკუ... აქ ხარ... დაგინახე!.. ვერ დამიჭერ, სწრაფი ვარ! გრძელი და ძლიერი ფეხები მაქვს...კუკუ!..

დედა მესიზმრა.ზის და ქსოვს, როგორც ყოველთვის...

-დედა, მამას მოსაძებნად მინდა წასვლა... **(ტელემაქე).**

-სად უნდა ეძებო?**(პენელოპე.)**

-ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ჯერ პილოსში ჩავალ ნესტორთან. **(ტელემაქე).**

-შემდეგ?.. ასე ივლი კუნძულ-კუნძულ და ქალაქ-ქალაქ ტროას ნანგრევებამდე? **(პენელოპე).**

-აბა, რა ვქნა?**(ტელემაქე)**.

-შეეგუე. **(პენელოპე).**

-და მერე შენსავით მთვრალმა სუდარები ვქსოვო?! უკაცრავად, საქორწილო კაბები თითოეული სასიძოსათვის?!.**(ტელემაქე).**

-თუ მოინდომებ, შეგიძლია რაიმე საქმე იპოვნო, სასიძოებიც დაგეხმარებიან... **(პენელოპე).**

-დედა! **(ტელემაქე).**

-ჰო... **(პენელოპე).**

-რაღას უცდი, რატომ არ ირჩევ რომელიმე მათგანს?..**(ტელემაქე).**

-რა გულუბრყვილო ხარ!..**(იცინის)**. მე კი არა, ისინი არ მირჩევენ. მე მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლო ვარ და როგორც კი ერთ-ერთი მათგანი ჩემზე დაქორწინდება, დანარჩენები მას მოკლავენ... ყველას მონოპოლია სურს, მაგრამ გადამწყვეტ ნაბიჯს ვერავინ დგამს...**(პენელოპე).**

მამა, იქნებ, შენც სახლს გაექეცი?.. **(აყურადებს. პასუხს არავინ სცემს)** ვერაფერს იტყვი... ვერაფერს იტყვი, მშვენიერი მიზეზია ტროას დასაპყრობად წასვლა... არ გსაყვედურობ... ითაკა ანაწევრებს და თქვლეფს საკუთარ შვილებს... შენც ტროა მოიმიზეზე და წახვედი. ბრალს ვერავინ დაგდებს... მართლაც მოქნილი გაიძვერა ყოფილხარ...**(იცინის)**.

თევზის სუნად ყარს ყველაფერი!.. მკვდარი თევზები გადმოკარკლული თვალებით გიყურებენ...ზოგიერთი ისევ ფართხალებს. მთელ ძალას იკრებს... ემზადება იმ ერთი, მთავარი ნახტომისთვის... აი, აი!.. ამჯერად თითქოს უნდა გამოუვიდეს... ახტა!..ბადის თოკებს მიეხეთქა და დასერილი კვლავ დანარჩენ თევზებს დაენარცხა...

ჰეიი!.. პილოსის სანაპირო გამოჩნდა!.. ნაპირზე გადასულმა გავიგე, რომ პილოსზე ტროას კედლებთან გარდაცვლილთა მოსაგონებლად გლოვაა გამოცხადებული... ირგვლივ ყველგან სისხლია, დაკლული საქონლის სისხლი!.. გალეშილი მგლოვიარეები იქეთ-აქეთ ეხლებიან კედლებს... ზოგიც მიწაზე გორავს...ბევრი ვეტერანი ინვალიდია...გამვლელებს ნესტორის მისამართს ვეკითხები და მგლოვიარე ბრბოში გზას მივიკვლევ...ვიღაც ამეკიდა, საითაც არ უნდა შევუხვიო, მის მზერას ვგრძნობ... უკან ვიხედები, არავინ არის... მგონი, გავგიჟდი... აი, ისევ!.. უკვე ნაბიჯის ხმასაც კი ვარჩევ სხვებისგან.. უკან ვიხედები! არავინაა... ფეხს ვუჩქარებ... სხვა და სხვა ქუჩაზე ვუხვევ...ბრახ!..ძლიერად მომხვდა სახეში მუშტი...ძირს დავეცი, ვიღაც თავზე დამღრიალებს...

-ყველა უბედურება, რაც პილოსში ხდება, თქვენი-უცხოელების ბრალი!..**(თავდამსხმელი).**

თვალებს აქეთ-იქით აცეცებს... მეორედ დარტყმამდე, ფეხზე ვდგები და ახლა მე ვურტყამ... ნაცნობი ხმა უკნიდან... რამდენიმე კაცი მომვარდა...ვეცემი...სახეზე ხელებს ვიფარებ!..

-ახლავე თავი დაანებეთ! **(ნესტორი)**.

მესმის ღრიალი...ყველანი გარბიან... ვიღაც ხელს მიწვდის...საშუალო სიმაღლის, შუახნის კაცი დგას.

- აქაური არ უნდა იყო...**(ნესტორი).**

-არა, ითაკადან ვარ. **(ტელემაქე).**

-ითაკა!.. ჩემი მეგობარი-ჩვენი გმირი ხომ არ დაბრუნებულა სახლში?..**(მათვალიერებს)** მე ნესტორი ვარ.**(ნესტორი).**

ჩემს ვინაობა ვუმხელ. ხმა უკანკალებს.

-ასეც ვიფიქრე, მამას ძალიან გავხარ! **(ნესტორი).**

ბოდიშს მიხდის მომხდარის გამო.

-ბოლო დროს პილოსში დამნაშავეები მომრავლდნენ...**(ნესტორი).**

გვერდზე მდგომ ახალგაზრდას გადახედა.

-ეს პისისტრატეა-ჩემი უფროსი ვაჟი.**(ნესტორი).**

მასთან ვართ-სახლში. მთელი დღეა სიყვარულოს მეფიცება...

-ტროადან მე და მენელაოსმა ერთად გამოვცურეთ... მამაშენი კი აგამემნონს ელოდა...**(ნესტორი).**

თვალს არ მაცილებს-გამომცდელად მიყურებს...

-მას შემდეგ მასზე აღარაფერი მსმენია...**(ნესტორი)**.

მთვრალია... კიდევ სვამს... პისისტრატეს გაჰყავს...ბარბაცებს...რაღაცას ლუღლუღებს... პისისტრატე უხერხულად მიღიმის და თან ნესტორს მიათრევს... ღმერთებს ახსენებს... ნეტავ, ჩემმა დანახვამ ააღელვა ასე? პისისტრატე დაბრუნდა...

-შენთან შეხვედრამ ძველი ჭრილობები გაუხსნა და ღმერთებს მამაშენის შეწყალებას ევედრება...**(პისისტრატე).**

ნესტორი ისევ შემოდის...ფეხი ერევა და რაღაცას ლუღლუღებს. პისისტრატე სასწრაფოდ დგება და უკან მიათრევს... პირზე ხელს აფარებს... დასაძინებლად მიმავალმა, ნესტორის საძინებელს ჩავუარე...

-მენელაოს, ტროას მის გარეშე ვერ ავიღებდით, გესმის?! ჰო... მართალი ხარ... სწორედ-ამიტომ!.. სწორედ ამიტომ!.. აგამემნონიც?... არა, ჯერ არა, მაინც მეფეა...**(იცინის)** სწორედ რომ დროულად დაეცა აქილევსი... ნეტავი სხვებიც!..ჰო, ასე უფრო ნაკლები საქმე გვექნებოდა...

-გეყოფა.!.**(პისისტრატე).**

პისისტრატე კარს აღებს...

-ხომ კარგად არის?**(ტელემაქე).**

-კი, უბრალოდ ტროას ვერ ინელებს!**(პისისტრატე)**.

უცნაურია... გმირი, რომელზეც მხოლოდ გადმოცემით მსმენია, „გმირი“, რომლიც ჩემს წარმოდგენაში ღმერთებს უტოლდებოდა... ხელში კი გალოთებული შუახნის მამაკაცი შემრჩა. **(იცინის)** არაფერი აქვს იმ ვებერთელა ღმერთკაცთან საერთო, რასაც ჩემი მეოცნებე გონება ქმნიდა... ითაკა-კუნძული, რომელიც ოცნებებით და ლეგენდებით საზრდოობს...და რა ხდება მაშინ, როდესაც ოცნების ბურუსი იფანტება? შეუძლია ადამიანის გონებას აბსოლუტურ სინამდვილეს თვალი გაუსწოროს და არ გაგიჟდეს?!

მამა!.. მამა!..

მეორე დღეს ნესტორმა სპარტაში მენელაოსთან გამგზავრება მირჩია... ის ახლახანს დაბრუნებულა და შესაძლოა მამაჩემის შესახებ იცოდეს რამე...პისისტრატეც მომყვება... ჩუქ-ჩუქ... მიდის მატარებელი... კუ-კუ!..

საღამოს უკვე სპარტაში ვიქნებით... პისისტრატე მთელი გზა ითაკაში მიმდინარე მოვლენებზე მესაუბრება...რატომღაც სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით არის დაინტერესებული. ალბათ, თავადაც სკამს უმიზნებს... წუხანდელი ნესტორის

ბოდვა ამომიტივტივდა თავში... ნეტავ, რა მოხდა ტროაში?.. როგორ ცდილობდნენ მის აღებას?.. ათი წელი ხომ კედლებთან ცხოვრობდნენ?..ათი წელი მის დაპყრობას ცდილობდნენ! რა მოხდა?.. წარმოიდგინეთ, ყველა გმირი ერთი ქალაქის კედელთან დგას, ყოველი მათგანი სახელზე, ძალაუფლებასა და დიდებაზე ოცნებობს... ტროა დაეცა და დამპყრობლები ქვეშ მოიყოლა!.. ზოგს გზაში დაეწია და ზოგსაც სახლში ეწვია... ან დაეცა კი?.. მითიურმა ქალაქმა ხომ მათზეც იძია შური, ვისაც ის თვალით არ უნახავს... ორესტე, მამისთვის შურისმაძიებელი დედისმკვლელი ახლა ათენში გარბის სულის განსაწმენდად, მე კი აღმა-დაღმა დავეხეტები, მამაჩემის კვალს რომ მივაგნო... დაეცა მითიური ქალაქი და მისმა ქვებმა მთელი საბერძნეთი ქვეშ მოიყოლა!.. ითაკას სასიძოები თქვლეფენ, მიკენა სისხლში იძირება, პილოსი კი საკუთარ თავს ჭამს!..

მამა... სად ხარ, მამა?

ჩუქ-ჩუქ... ჩუქ ჩუქ... სად მივდივარ? რა მაკავშირებს ამ ყველაფერთან?.. ისიც კი არ ვიცი, ზუსტად მამაჩემის შვილი ვარ, თუ-არა... **(იცინის)** ვერც ვიცნობ, თვალით არ მინახავს. რომც ვიპოვნო, ამით რა შეიცვლება? იქნებ ითაკა გადარჩეს?..მაგრამ სურს თავად ითაკას გადარჩენა, ან არის კი გადასარჩენი?! კითხვები... კითხვები... კითხვები... პასუხგაუცემელი კითხვებით მაქვს თავი გამოტენილი!..მე თავად ითაკას ვეკუთვნი?.. აი, თქვენ, რა გაქცევთ ამ საზოგადოების წევრად? რა გაგრძნობიებთ, რომ აქაურობას მიეკუთვნებით? ეროვნება? იქნებ, მოქალაქეობა? დაბადების ადგილი? იქნებ, უბრალოდ გასაქცევი არ გაქვთ?! რას ნიშნავს თქვენთვის სამშობლო?!.

შებინდებისას მატარებელი სპარტაში შევიდა. მთელი ქალაქი საზეიმოდ არის მორთული და ყველგან ელექტრონული მუსიკის ხმა ისმის... ქორწილია!!! მენელაოსი თავის ქალიშვილისა და აქილევსის ვაჟის ქორწილს აღნიშნავს...ვერაფერს იტყვი-მშვენიერი კავშირია, კარგი სტრატეგიული სვლა!

სადგურზე ფეხებმოკვეთილი ტროას ვეტერანი მომხვდა თვალში... თავზე საზეიმო გვირგვინი ჩამოუცვამს, ხელში თუნუქის ქილას ათამაშებს და ბორბლებიანი ურიკით იქეთ-აქეთ დაქრის...

-დიდება მეფე მენელაოსს! დიდება უძლეველ ატრიდთა გვარს!.. გაიღეთ მოწყალება, ღმერთები შეგეწევიან...**(ვეტერანი).**

უქმე დღეა... ტრანსპორტი არ მოძრაობს... ვიღაც მხარზე მქაჩავს... 40-45 წლის მამაკაცია.. მიღიმის.

-გინდა რამე?..**(რეალიზატორი).**

-მე?.. რა უნდა მინდოდეს?**(ტელემაქე).**

-არაფერი გინდა?... ყველაფერი მაქვს, მოსაწევი, კრეკი, კოკა...**(რეალიზატორი).**

-არა, არ მინდა...**(ტელემაქე).**

-მისმინე, თუ ფული არ გაქვს, არ არის პრობლემა, საქონელი მაინც სახლში მაქვს, წამომყევი და როგორმე მოვრიგდებით!.. **(რეალიზატორი).**

თვალებს მინაბავს!.. საიდანღაც პისისტრატე გაჩნდა, ქეჩოში წვდა და აჯანჯღარებს.**(იცინის)** ჯიბეში ფული ჩაუდო და სასახლეში წაყვანა მოსთხოვა... ჩვენი ახალი „მეგობარი," როგორც გაირკვა, ეგვიპტიდან იყო... მენელაოსის ერთ-ერთ მხედართმთავარს ტყვედ წამოუყვანია და ახლა რეალიზატორად მუშაობს...ჰმ! ტროას სპარტაც შეუჭამია... „სასახლესთან" დავემშვიდობეთ... მუსიკის ხმა გარეთაც ისმის... პისისტრატეს ვთხოვე, რომ ჯერჯერობით ჩვენი ვინაობა არავისთვის გაემხილა... სასახლის კარი დღეს მაინც ყველასთვის ღიაა, მხოლოდ ბანერებით შეიარაღებულ მცირე ჯგუფს არ უშვებენ შიგნით... ყოჩაღ მენელაოს!!! კარგია!!! მცირე ოპოზიცია, მხოლოდ განამტკიცებს პოზიციას!..

„სასახლის" კარი ღიაა... წარჩინებულები და ,,მოკვდავები" ცალ-ცალკე დარბაზებში არიან გადანაწილებულები... „You are not human! you are workfoce!." ვეუბნები პისისტრატეს და მოზეიმე „მუშათა კლასისკენ" მივათრევ...

-გაუმარჯოს მეფეს!.. **(პირველ მოქალაქეს განასახიერებს).**

-მენელაოსსა და მშვენიერ ელენეს გაუმარჯოს!.. **(განასახიერებს მეორე მოქალაქეს).**

-იცით, თურმე, ტროელები მენელაოსის სახელის ხსენებაზე საბრძოლველად არ გამოდიოდნენ...**(განასახიერებს მესამე მოქალაქეს).**

-ჰო. ის თუ იცოდით, რომ „ზღვის ცხენი" მენელაოსმა ააშენებინა?.. **(მეორე მოქალაქე).**

-არა ,რაღაც გეშლება...ეგ ოდისევსმა მოიფიქრა. **(პირველი მოქალაქე).**

-ოდისევსმა კონსტრუქცია ააშენებინა, თორემ იდეა მენელაოსს ეკუთვნოდა.**(მეორე მოქალაქე).**

-საიდან იცი?**(პირველი მოქალაქე).**

-როგორ, თუ-საიდან?! ჰკითხე, ვისაც გინდა...**(მეორე მოქალაქე).**

-ეგ რა არის, ჰექტორიც მენელაოსმა მოკლა...**(მესამე მოქალაქე).**

-აბა, აქილევსმა დაამარცხაო? **(პირველი მოქალაქე).**

-ეგ მირმიდონელებმა მოიგონეს...პატროკლეს მოკვლის შემდეგ აქილევსს მხოლოდ გაუკაწრია...აი, მეცხრე დღეს კი მენელაოსმა მოუღო ბოლო.**(მესამე მოქალაქე).**

-ეს ყველაფერი კი ერთი ბოზანდარას გამო!.. **(პირველი მოქალაქე).**

-მაგას როგორ ამბობ?! შენც ხომ იცი, პარისმა „აფროდიტე" გაურია სასმელში... **(მეორე მოქალაქე).**

-აფროდიტე არა!.. ჩვეულებრივი ბოზია ეს ჩვენი დედოფალი. **(პირველი მოქალაქე).**

-როგორ ბედავ დედოფლის შეურაცყოფას?! **(მეორე მოქალაქე).**

თავზე ბოთლს ამსხვრევს... მესამეც მას ეხმარება-აყალმაყალია...**(იცინის)** დაცვა მოდის გასაშველებლად!..

მამა!..მამა!..

-ძვირფასო სპარტელებო, არ გვეკადრება ასე მოქცევა! დღეს ჩვენ ორი ძლიერი ქალაქის გაერთიანებას აღვნიშნავთ და არავის აქვს უფლება, ეს დღესასწაული წაბილწოს!..**(მენელაოსი).**

შემამჩნია...გაქვავდა...ნელა შებრუნდა და გავიდა...ცოტა ხნის შემდეგ ელენე შემოვიდა...მაკვირდება...მართლაც საოცარი ქალია! აი, ისეთი!.. აი... აი... ახალდაქორწინებულების სადღეგრძელო შესვა ჩვენთან ერთად და გაბრუნდა...

-მსურს ჩემი თანამებრძოლების სადღეგრძელო შემოგთავაზოთ.მათი, ვინც ტროას კედლებთან დაეცა...მათი, ვინც შინ მშვიდობით დაბრუნდა და მათიც, ვინც დღემდე ებრძვის ზღვის ტალღებს... მინდა, ეს თასი იმ კაცის თამადობით შევსვა, ვინც ყველას გვჯობდა თავისი გამძლეობით, სიმამაცითა და-მოხერხებულობით!..**(მენელაოსი).**

მთელ სასახლეში მამაჩემის სახელი გაისმა!..

-აქ მისი შვილია, მეტისმეტად თავმდაბალია და ვინაობას არ ამხელს... **(პისისტრატე).**

ელენესა და მენელაოსის წინაშე ვდგავარ...მენელაოსმა მამაჩემის ქება-დიდებით რომ იჯერა გული, ჩემი ჩასვლის მიზეზით მხოლოდ ამის შემდეგ დაინტერესდა...ელენე თვალს არ მაშორებს... მენელაოსი ვიღაც მაწანწალის მონათხრობს მიყვება მამაჩემის შესახებ, თავად ტროას შემდგომ არ უნახავს....

ღამეა... სტუმრები უკვე დიდი ხანია სახლებში წავიდნენ...მენელაოსი არ ჩუმდება...

-ის რომ არა, ახლა ყველანი მკვდრები ვიქნებოდით. **(მენელაოსი).**

-თუ მამაჩემი ვერ ვიპოვნე, იქნებ, თქვენ, როგორც მამაჩემის ძველი მეგობარი, დამეხმაროთ სასიძოების წინაამღდეგ... **(ტელემაქე).**

ენა გადაყლაპა. პისისტრატეც ფერს კარგავს...

-მამაშენი შეძლებს შინ დაბრუნებას... **(მენელაოსი).**

-რომ ვერ შეძლოს?.. **(ტელემაქე).**

-მამაშენის მსგავს გმირს ვერავითარი დაბრკოლება შეაჩერებს! **(პისისტრატე).**

-უკვე ათ წელზე მეტია ვიღაც, ან რაღაც აჩერებს... ჰოდა, თუ არ გამოჩნდა, მქონდეს თქვენი იმედი?.. **(ტელემაქე).**

-რა თქმა უნდა... მე და ნესტორი... მაგრამ, გაითვალისწინე, სასიძოებსაც აქვთ თავიანთი უფლებები... **(მენელაოსი)**.

უფლებები... სასიძოების უფლებები...**(იცინის)**.

დაბნეული პისისტრატე თანხმობის ნიშნად თავს აქნევს...

უძილობა მტანჯავს...მენელაოსთან საუბარმა უფრო გამაღიზიანა... სამზარეულოს ვეძებ...

-ის უნდა მოკვდეს! **(პისისტრატე).**

-ჩუმად!.. **(მენელაოსი).**

-ვერ ხედავ, უკვე სასიძოების წინაამღდეგ გვთხოვს დახმარებას... უნდა მოკვდეს და რაც შეიძლება-მალე!.. **(პისისტრატე).**

-პილოსში რატომ არ მოკალით? **(მენელაოსი).**

-ვცადე...სასიძოების გამოგზავნილმა კაცმა წინასწარ გაგვაფრთხილა, მალე ჩამოვაო... მეც რამდენიმე კაცს ფული გადავუხადე... ყველაფერი ქუჩაში მომხდარ აყალმაყალს დაემსგავსებოდა, მამაჩემი რომ არ ჩარეულიყო... **(პისისტრატე).**

-მადლობა ღმერთს!.. ნესტორი გალოთდა, მაგრამ ჭკუა საბოლოოდ არ დაუკარგავს... რა გჭირთ ამ ახალგაზრდებს?! მამამისი სიმბოლოა-ერთგვარი არქეტიპი... მისი შვილის მოკვლა დიდი შავი ლაქა იქნება ნებისმიერი ქალაქისა, თუ ხელისუფლებისთვის!.. შეიძლება გადაიყოლოს კიდეც ვინმე... **(მენელაოსი).**

-შენი აზრით, მამამისი ცოცხალია?**(პისისტრატე).**

-არ ვიცი...ზოგჯერ მეც მჯერა იმ აბდაუბდის, თითქოს ღმერთები მფარველობდნენ...**(მენელაოსი).**

-კიდევ კარგი, ეგისთემ იმარჯვა, თორემ თქვენი გადამკიდე, აგამემნონიც ცოცხალი იქნებოდა... ის მეფე მაინც იყო და ახლა ამ ცინგლიანზეც ერთი ამბავი ატეხეთ! **(პისისტრატე).**

-ხომ ხედავ, ეგისთესაც ორესტემ მოუსწრაფა სიცოცხლე...**(იცინის)** თუმცა, შეიძლება ათენიდან შინ ვერ დაბრუნდეს, მაგრამ ამის მოკვლა სასიძოებმაც ვერ იკისრეს და ჩვენ გადმოგვაბარეს შავი საქმე შესასრულებლად. ხო, ბიჭი უნდა მოკვდეს, მაგრამ სადმე ნეიტრალურ ტერიტორიაზე, მაგალითად, თავდასხმის შედეგად... ყაჩაღები, ან-მეკობრეები... შენ დაგჭრიან, მას ბოლოს მოუღებენ!.. შემდეგ კი ყველანი ერთად შურს ვიძიებთ-სამაგალითოდ დავსჯით მკვლელებს!..**(მენელაოსი).**

მამა!..მამა!..

ერთი სული მაქვს, შევარდე!.. რა სისულელეა... სპარტიდან გაქცევა შეუძლებელია, სანამ ქალაქს დავტოვებ, დამიჭერენ... ან სად უნდა გავიქცე?..

დილაა. მენელაოსი საყვედურით იწყებს...

-როგორ მიატოვე ითაკა? სახლს და დედას მიხედვა უნდა. არავინ იცის, სასიძოები რას იზამენ...**(მენელაოსი).**

თითქოს, როცა იქ ვიყავი, წინაამღდეგობის გაწევის რაიმე საშუალება მქონდა!..

მოვდივართ... მენელაოსი უამრავ საჩუქარს მატანს... არ დაეკარგება...**(იცინის).**

-გუშინ უცნაური სიზმარი ვნახე... მამაშენი ითაკაზე დაბრუნებულიყო... შესაძლოა, ახლა სასიძოებს პასუხს თხოვდეს...**(ელენე).**

-იმედია, მალე გამართლდება თქვენი სიზმარი, ქალბატონო. **(ტელემაქე).**

ნუთუ, ქმარს ეხმარება?.. პარისის მკვლელი და ტროას დამამხობელი ისევ შეუყვარდა? მაინც რა გაქვს, ელენე, გულში?.. არა! არა!!! უფრთხილდი, მენელაოს!.. მას ყველა ბერძენის სიკვდილი უნდა!.. ფრთხილად, მენელაოს, ფრთხილად!!! სახლში გყოლია ყველაზე საშიში მტერი...

ჩუქ-ჩუქ... ჩუქ-ჩუქ... სადგურის ბაქანზე ვართ... მენელაოსის ორი კაცი გვაცილებს პილოსამდე... მზრუნველი მეფე!.. ვეტერანი დაქრის თავისი ურიკით!..

-შეეწიეთ ტროას გმირს!.. დაეხმარეთ დავრდომილს... **(ვეტერანი).**

საიდანღაც ნაცნობი ეგვიპტელი გაჩნდა.

-უკვე გვტოვებთ, ბატონებო?არც ახლა გნებავთ რაიმე? **(ეგვიპტელი).**

პისისტრატე ამრეზით უყურებს და მუჯლუგუნს კრავს.

-რაიმე ისეთი ხომ არ გაქვს, კარგად რომ დამაძინოს?..**(ტელემაქე).**

პისისტრატე გაკვირვებული მიყურებს.

-ჰო,რა მოხდა?.. მგზავრობა მღლის და მინდა, გზაში დავიძინო...**(ტელემაქე).**

პისისტრატე მხრებს იჩეჩს... ეგვიპტელი მალევე დაბრუნდა.

-უხ, ისე ტკბილად დაგეძინება.. .**(თეთრ ფხვნილს მაძლევს).**

ჩუქ-ჩუქ...ჩუქ-ჩუქ... კუპედან გავდივარ. სასმელში ფხვნილს ვაზავებ...იმედია, დალევენ...სამივეს ერთად ვერ მოვერევი... დავბრუნდი. ცხელა!.. სასმელს მიეძალნენ... პისისტრატე ნელ-ნელა დგება და ჩემსკენ ხელს იშვერს... რაღაცას ლუღლუღებს... ბაც. ბაც. ბაც. **(დანას ურტყამს)** არ უნდა ვიხმაურო... ის ორნიც ფეხზე ბარბაცით ცდილობენ წამოდგომას... ჩუქ-ჩუქ... კუპედან გავდივარ... ჩუქ-ჩუქ... საავარიო ბერკეტი... ჩუქ-ჩუქ... ვხტები... გავრბივარ... უკან არც ვიხედები... გავურბივარ ყველაფერს-მოკლულ პისისტრატეს, შურისძიების მოვალეობას! მენელაოსს... ნესტორს... სასიძოებს! დედაჩემს ვხედავ... მე მქარგავს... ნახვამდის, დედა... მინდა, შენც გაგექცე... ითაკა... რა მაკავშირებს შენთან?.. ნუთუ, სრული შემთხვევითობა არ არის, შენს კლდოვან მიწაზე რომ დავიბადე?.. ცივი ხარ, ითაკა, ყინულივით ცივი და ამიტომ შენც გაგირბივარ!.. ნუთუ, ანეტამაც მიღალატა?! მიღალატე, შე ბოზო?.. იქნებ, მასთან მყოფმა სასიძოებმა მართლაც სასხვათაშორისოდ ახსენეს ჩემი მკვლელობა და გულუბრყვილო ანეტაც ამ ფანდზე წამოეგო?.. შენ საკუთარი უსუსურობა გხიბლავს, ანეტა და ამიტომ შენც გაგირბივარ... ჩუქ-ჩუქ...ჩუქ-ჩუქ... ისევ მატარებელში ვარ? არა, ეს მატარებელია ჩემს გონებაში და თავის ხმას პირდაპირ გულს გადასცემს... ჩუქ-ჩუქ... ჩუქ-ჩუქ... მამა!..მამა!.. გიხმობ და შენც გაგირბივარ, როგორც უცხოს და-შეუცნობელს!..

You are not human… you are not human!.. you are not human…

პილოსში ვარ... პილოსის მიმართულებით მოვრბოდი მთელი ეს დრო... პოლიცია. აქ ყველგან ფორმიანები დააბიჯებენ... ნესტორმა მობილიზაცია გამოაცხადა!

ზღვაში ვარ... მეთევზე ნადავლს ითვლის... ორჯერ მეტი გადავუხადე, ვიდრე ეკუთვნოდა.

-საით გავცურო? **(მეთევზე).**

-ჯერ არ ვიცი... **(ტელემაქე).**

-შენ თავი ტაქსიში ხომ არ გგონია?**(მეთევზე).**

-იცურე, იცურე! იცურე!!! **(ტელემაქე).**

ბადეში მყოფი თევზებიდან ერთ-ერთი ძალას იკრებს-ამოხტომას ცდილობს! აი,აი... გამოუვა. ახლა ნამდვილად შეძლებს!..თავს დააღწევს!.. თოკებს ასკდება დასერილი, სხვა თვალებგადმოკარკლულ თევზებს ეხეთქება...

საზღვაო პოლიცია... ნესტორი, თუ-სასიძოები?.. რა მნიშვნელობა აქვს?!. მეთევზე თვალებს აცეცებს... არც იფიქრო!..დაყვირებას აპირებს! **(ჯიბიდან საწუწაო თოფს იღებს და მაყურებელს წუწავს)** გაჩუმდი! გაჩუმდი! გაჩუმდი!..

ხმა გაიგეს. პროჟექტორის შუქი ნავს ეცემა... ხმა გაიგეს!.. ღრმად ვყვინთავ... სიჩუმეა... სიმშვიდე... ხმაური მხოლოდ ზედაპირზეა... კიდურებს სინქრონულად ვამოძრავებ... დედა ისევ ქარგავს.. მამა!..მამა!..მხოლოდ რამდენიმე წყლის ბუშტი... ჩემს თავს ვხედავ... ქვემოთ-ფსკერისკენ მიცურავს... საკუთარ თავს გამოვეყავი...

you are not... you are not...you are not… **(შეშდება... მიაყურადებს... ფანრის რიტუალს იმეორებს რამდენჯერმე).**

გაიგონეთ ხომ?!. თქვენც გაიგონეთ, არა?.. მამაჩემის ხმაა... მამა!.. მამა! **(გარბის და ზღვაში შედის. რამდენიმე წამით ქრება... წყლიდან ხოხვით ამოდის. ფეხზე დადგომას ცდილობს, ეცემა და ისევ დგება. კვლავ კარგავს წონასწორობას. ქოშინებს. ტელემაქეს ახლა სხვა სიარულის მანერა და ტემპო-რიტმი აქვს. ჯინსის ნაცვლად ტუნიკა აცვია. ხელში ფანარს იღებს...ატრიალებს...იგივე თანმიმდევრობით აქრობს და ანთებს...)**

ოდისევსი - ფუ, ამის დედაც!..უცნაურია... **(ისევ იმეორებს ფანრის რიტუალს)** უცნაურია... ჩვევები წარსულიდან...ყველაფერი რომ დაივიწყო, ჩვევები მაინც არ განებებენ თავს...სიარულიც კი დამავიწყდა, მაგრამ ზოგიერთი ჩვევა... ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს?.. ვიღაც მიხმობდა... **(ტრიალდება. წონასწორობას ვერ იცავს. ცდილობს არ დაეცეს. გარემოს ათვალიერებს)** თქვენ მეძახდით? ჰეი!.. **(მაყურებლის მიმართულებით ანთებს და აქრობს ფანარს).** სად ვარ?.. ეს რა ადგილია?.. ჰეი!.. **(ყვირის).** ნამდვილად გავიგონე, ვიღაც მეძახდა... ნეტა ვინ იყო?.. ვიღაც თუ მეძახდა, ესეიგი, ვარსებობ კიდეც!.. უცნაურია... ხატები წარსულიდან... დიდი ხანია, მხოლოდ წყალს ვუმზერ და ეს სურათები თავისთავად ტივტივდებიან ზედაპირზე... უნდა გავიხსენო... როგორმე უნდა გავიხსენო!.. გადასახლება... ადამიანები საცხოვრებელს ტოვებენ...ემიგრაცია...ჰო...ჰო...რესურსები აღარ არის ყველასთვის საკმარისი... **(ყვირის)** უნდა წავიდეთ... ახალი ტერიტორიები დავიპყროთ!“ რაო?.. ეს ვინ თქვა?.. ზღვა

ხალხი მიდის ზღვით ემიგრაციაში... მტაცებლობა. ჰო... მიიტაცეთ! დააგროვეთ! დაისაკუთრეთ! მარაგი შეივსეთ აქლემებივით, თორემ უდაბნოში მალე თქვენთვის აღარაფერი დარჩება!..სწრაფად!..სწრაფად! რაღას ელოდებით? მიიტაცეთ... შეჭამეთ!..საკუთრება...მემკვიდრეობა...მიწა!..მიწა!..**(ძირს ეცემა და ცხვირს მიწაში ყოფს)** ღრუტ!..ღრუტ!.. ღუტ-ღრუტ!.. კი, მაგრამ მე სად ვარ?.. მე რა როლს ვასრულებ ამ ყველაფერში?..**(ფანრის ანთება-ჩაქრობის თანმიმდევრობას იმეორებს ინსტიქტურად)** უცნაური ჩვევაა... **(ისმის ზღვის ტალღის ხმა)** სანაპიროზე ქალი დგას ჩვილი ბავშვით ხელში... რა უნდა?.. ხელს მიქნევს... გვესალმება, თუ გვემშვიდობება?.. გემები...ფლოტი...სადღაც მივცურავ...ისევ ზღვის სილურჯე...**(ისმის ტალღის ხმა)** აი...აი... ქალაქის წინ ვდგავართ... დიდხანს ვდგავართ-დგომაში გახანგრძლივებულები...რას ელოდებით?რაიმე განსაკუთრებულის იმედი გაქვთ?..ვიბრძვით...კედელთან ვიბრძვით...კედელს რატომ ვებრძვით, საკუთარ ქალაქს იცავს...საკუთარს... ჰო, საკუთარ ქალაქს **(იცინის).** სწორია, კედელს უფრო მეტად შეიძლება ეკუთვნოდეს რაიმე, ვიდრე მარად ცვალებად ადამიანს ცვალებად დროში. **(ფანრის რიტუალი)** მაინც, ვინ მეძახდა?.. არაფერი მახსოვს და მუდმივად ეს ხმა ჩამესმის! ჩამესმის, თუ ჩემგან ამოდის?.. არ მომჩვენებია, მკაფიოდ გავიგონე, ვიღაც როგორ მეძახდა! **(ტალღის ხმა)** ცხენი...ზღვის ცხენი!..უზარმაზარი განძით დატვირთული ხომალდი...**(იცინის)** სულელები. საჩუქარი ქალაქში შეაქვთ... ცეცხლი...მკვლელობა...გაუპატიურება...მებრძოლი კედლისგან ნანგრევებიღა დარჩა!.. ჩვილ ბავშვებს პირდაპირ კედლიდან ყრიან! იქნებ, ეს... არა, ეს... ან, ეს...იქნებ, ეს ის ბავშვი და ქალია, წეღან სანაპიროზე რომ დავინახე...

"ნადავლი თანაბრად უნდა გავიყოთ პტოლემეოს!.."ეს ვინ თქვა? პტოლემეოსი სიამაყით მიგვითითებს ნაწლავებგადმოყრილ მეფის გვამზე... გამახსენდა! მიცვალებულთან კედელზე რაღაც წარწერაა.... ,,ხელისუფლება აუცილებელ ბოროტებას არ შეიცავს, ბოროტება მხოლოდ მის არასწორ გამოყენებაშია. თუკი ის საკუთარ თავს შემოიზღუდავს, ყველას თანაბრად დაიცავს და როგორც ზეცა წვიმისას, თანაბრად მოაბნევს თავის მოწყალებას მაღალსა, თუ-მდაბალზე, მდიდარსა, თუ-ღარიბზე, იგი განუზომელ სიკეთედ მოგვევლინება!.." სულელი, სულელი მოხუცი!.. ჩვენ ქალაქი დავამხეთ, რომელმაც თავის ნანგრევებში მოგვიყოლა. ძვირფასეულობა მოგვაქვს... ,,მოროდიორების" ნადავლი... სინდისი უნდა მქონჯნიდეს? რატომ? ყაჩაღობა ხომ დაკანონებული საქმიანობაა ჩვენს დროში? ჩვენს დროში... რომელია ჩვენი დრო?კარგი, ,,მოროდიორობა" დაკანონებული დროში გახანგრძლივებული საქმიანობაა. იქნებ, მხოლოდ სიტყვაშია პრობლემა? კი, ბატონო, იყოს ტრიუმფატორების ჯილდო!.. ჰო, ჩვენ ჩვენი კუთვნილი ტრიუმფატორების ჯილდო მოგვაქვს!..ლეგენდარული ქალაქი...**(იცინის)** სტრატეგიული ობიექტი დარდანელზე-გზა ხმელთაშუა და შავ ზღვებზე ხსნილია... ახალი მიწები!.. საკვები!..რესურსი!.. ღრუტ-ღრუტ...ღრუტ-ღრუტ და შემდეგ, კრონ-კრონ... **(ტალღის ხმაური)** უკან ვბრუნდებით-სახლში. სად? ნუთუ, სახლიც მაქვს?! სამშობლო... უცნაურად ჟღერს... გამოშიგნული სიტყვები... სიცარიელე სიტყვებს მიღმა... საერთოდ, რას ნიშნავს სამშობლო?იქნებ, ზღვაზე ერთი მიმართულებით მუდმივ სვლას? ან, იქნებ, ეს მხოლოდ ჩემი გონების წარმონაქმნია, ტყუილი-თვითგადარჩენისთვის?.. კლდოვანი კუნძული!.. ხუთასი კაცი გემებით ზღვაში გავდივართ... ქალაქის ნარჩენები შემახილებით გვაცილებენ.

You are not human...

You are not human...

You are not human!..

რა მიზიდავს? რა მამოძრავებს? ჩემში არაფერია-სრული სიცარიელე... იქნებ, მხოლოდ პასუხისმგებლობა ამ ხუთასი კაცის მიმართ?.. აი, ისევ... გაიგონეთ?.. ვიღაც მეძახის... ორი კვირა... ორი კვირა დანიშნულების ადგილამდე... მაგრამ მსურს იქ მისვლა?.. **(ტალღის ხმაური)** ტალღები წინ არ გვიშვებენ. ქარი ჩრდილო-დასავლეთით მიგვაქროლებს. ხმელეთი! **(ყვირის)** „ისმარუსია კიკონთ ქალაქი"!.. ეს ვინ თქვა? შეგვნიშნეს...ცეცხლი!.. ქალაქი ცეცხლშია!.. ძარცვა და-მკვლელობა.... ჟინი ტროადან შემოგვრჩა. მადა ჭამაში მოდისო...უფრო მეტი მონდომებით ვანადგურებთ და ვიტაცებთ...ღრუტ-ღრუტ...ღრუტ-ღრუტ... დიდხანს შევყოვნდით... დამხმარე რაზმები?.. ვინ რიან?.. ხომალდს ხომალდზე ვკარგავთ...მოგვდევენ...თავს გაჭირვებით ვაღწევთ... ქალაქთან ერთად რაღაც დაინგრა შიგნით, ჩვენში, მაგრამ - რა?.. ისევ უამინდობა, ისევ ტალღები მიგვერეკებიან სადღაც... ქალი და ბავშვი!.. **(ტალღის ხმა)** ხო, მე ოჯახი მყავს! მყავდა... ნეტავ, თუ მელიან?.. მე მელოდებიან, თუ მას, ვინც ქალაქის დასაპყრობად წავიდა?..ყველაფერი იცვლება...ყველაფერი ძალიან სწრაფად იცვლება!.. სად ვართ? აქ რა გვინდა?...

ვინ მეძახის?!.

ჩრდილოეთ აფრიკა... საკვები და წყალი უნდა მოვიმარაგოთ...ადგილობრივები კარგად შეგვხვდნენ...ლოტოსის კერძით გაგვიმასპინძლდნენ... უღრანი ტყეებით მოვიკვლევთ გზას უკან - გემებისკენ... ჩვენამდე მზის სხივიც არ აღწევს...

-სად მივდივართ?**(თანამგზავრი).**

-სახლში. **(ოდისევსი).**

-სახლის სად არის?**(თანამგზავრი).**

-არ ვიცი... **(ოდისევსი).**

-იქნებ, უკვე სახლში ვართ? **(თანამგზავრი).**

-შეიძლება... შეიძლება-არა... **(ოდისევსი).**

-თუ არ ვიცით, სახლი სად არის, ხომ შეიძლება, ის ყველგან იყოს?.. **(თანამგზავრი).**

-ან - არსად... **(ოდისევსი).**

-შესაძლოა, ყველგანაც და - არსადაც... **(თანამგზავრი).**

-გაიონე?! ვიღაც მეძახის! **(ოდისევსი).**
-არა, არაფერი გამიგია... **(თანამგზავრი).**

თანამგზავრებს ადგილიდან დაძვრა არ უნდათ, ძალით მივათრევ... კვლავ ტალღები გვათამაშებენ...
სიცხე გვაღვიძებს...მრგვალთვალიანი ეტნა ცეცხლის ლოდებს გვესვრის... გემებს ვკარგავთ....ორთქლი, ტორნადო და-მორევი...მიქცევა და მოქცევა ერთმანეთს ხვდებიან! სკილა და ქარიბდა ერთდროულად გვიტევენ! აქ რა დამრჩენია?! სად, სად მივცურავ?.. რატომ აღმოვჩნდი ორ ცეცხლს შორის? ნუთუ, ეს ჩემი არჩევანის შედეგია?!.კითხვები... კითხვები... კითხვები...უპასუხოდ დარჩენილი კითხვები... თითქოს, ტალღამ ამომატრიალა და ნაპირს ვეღარ ვპოულობ... მარტო ვარ... მარაგი გაიხარჯა... მზე... მუსიკის ხმა მიხმობს... სიმშვიდეს და სიჩუმეს მპირდება... მლაშე წყალს ვყლაპავ...**(იფურთხება... ტალღის ხმა).**

აგამემნონს ვხედავ...წყლიდან ამოდის და მათარას მაწვდის...ხარბად ვსვამ... წყალი არ არის! არც ღვინოა... ბლანტი მასა... სისხლი! თავადაც სისხლს სვამს!!! ორივეს სისხლი გვდის ნიკაპზე... მიყვება მენელაოსის ღალატზე, საკუთარ სიკვდილზე, სასიძოებსა და - ტელემაქეზე!.. მეც მოვკვდი, აგამემნონ?!. ტრიალდება და მიდის... მითხარი, აგამემნონ, მკვდარი ვარ???
ქარი ჩადგა... არ ვიცი, რამდენი დრო გავატარე მარტომ ზღვაში... ყველაფერი ერთიანად მახსენდება... პენელოპე, ტელემაქე, ითაკა, ტროა... რამდენი ხანია გზაში ვარ?.. მენელაოსმა გვიღალატა, მაგ ვირთხამ!.. მოლაყბე ნაბიჭვარი... არაფრის მაქნისი! მთელი ცხოვრება ჯერ დედის კალთას იყო გამოკერებული და შემდეგ აგამემნონის ზურგს ამოფარებული... აგამემნონი რომ არა, ელენესაც ვერ დაიბრუნებდა... სასიძოებს შეეკრა.. თავის გადარჩენას ცდილობს...დიდხანს ვერ გაუძლებს-მასაც ჩაყლაპავენ... ტივს ვკრავ და ითაკას მიმართულებით მივცურავ...

მერე? მერე რა მოხდება, როცა ნაპირზე ფეხს დავდგამ?.. შურს ვიძიებ!!! ჯერ კიდევ შემიძლია რაღაც... ბოლოს და ბოლოს, მე ხომ ის კაცი ვარ, ვინც ტროა დააქცია!.. ტყუილად ხომ არ მიწოდებენ მრავალნაცადს?.. სასიძოებს შევებრძოლები, რომ დაკარგული დავიბრუნო... ნიჩბებს ძლიერად ვუსვამ. ზურგის ქარიც ხელს მიწყობს...მალე ტელემაქეს შევხვდები და ერთად მივუზღავთ ყველას, რაც დაიმსახურეს! მერე რა, რომ ბევრნი არიან, ხერხის და ფანდის მოფიქრება არასდროს მიჭირდა... დავიბრუნებ, ყველაფერს დავიბრუნებ, რაც წამართვეს!.. ნაპირიც გამოჩნდა... უფრო და უფრო ვუახლოვდები კლდოვან კუნძულს...

...მაგრამ რა წამართვეს? რაიმე რომ დამეკარგა, ჩემი უნდა ყოფილიყო... იქნებ, პენელოპე?.. ნამდვილად მე მელის? მე ხომ თავად არ ვიცი, ვინ ვარ და როგორ შეიძლება ვინმე მელოდეს?.. ან, იქნებ, მხოლოდ თავად ლოდინი იყო პენელოპეს ამოცანა?.. ბედნიერი ყოფილა პენელოპე, საკუთარ ამოცანას ასრულებს... იცდის... ელოდება... ალბათ, ჩემი ჩასვლის შემდგომაც გააგრძელებს ლოდინს... ლოდინში გახანგრძლივდება... ითაკა, ჩემი სამშობლო?..**(იცინის)** მთლიანად დაცლილი ვარ მისგან, მან კი, ალბათ, სხვები შეავსო უკვე... იქნებ, მე თავად ვარ საკუთრება? იმ პატარძალს ვგავარ, ტაძრის კართან რომ დგას და გაქცევაზე ფიქრობს...**(ლოტოს იღებს)** არ მინდა დაბრუნება... იქ ჩემი არაფერია. მინდა, ყველაფერი დამავიწყდეს, რათა ყველაფრის თავიდან სწავლა შევძლო... ვჭამ... ხარბად შევექცევი... მშრალ, დაუმუშავებელ ლოტოსს უფრო ძლიერი ეფექტი აქვს... ნიჩბებს საწინაამღდეგო მიმართულებით ვუსვამ... ითაკა, შენ პატარავდები! სულ უფრო და უფრო პატარავდები და მალე გაქრები კიდეც!.. ღია ზღვა... ტალღები აქეთ-იქით მათამაშებენ...წარმოდგენაც არ მაქვს, საით მივცურავ, მაგრამ ცურვა უნდა განვაგრძო! იცურე...მიდი, იცურე!..იცურე!.. ყველაფერი დამავიწყდა, თუმცა ეს ხმა თავს არ მანებებს და ჩემს გონებაში ნელ-ნელა კვლავ ჩნდება ფრაგმენტულად ხატები წარსულიდან... ხმა მიხმობს! საით მიხმობ, ტელემაქე?!. კვლავ ქარიშხალი და ტალღები!..

You are not! You are not!you are not!..

ტელემაქე მიხმობს... ის სადღაც ჩემშია - შიგნით... ამ კუნძულზე მომიყვანა და ყველაფრის თავიდან გახსენება მაიძულა... მუდმივად დავიწყებასა და გახსენებას შორის განვხანგრძლივდი...

რთულია მეხსიერებაში რაიმეს წაშლა... პატარა დეტალი და მთელი წარსული მდინარის ნაკადივით მოედინება... მძიმეა, თუმცა, მასთან ერთად ცურვა უნდა შევძლო!..

აი...აი!.. ისევ მიხმობს ტელემაქე... **(ყვირის)** მამა!..მამა!.. მოვდივარ!.. მოვცურავ... არ გაჩერდე! შენც იცურე და შევხვდებით სადმე ერთმანეთს სხვა დროსა და სივრცეში!.. **(ბოლო რეპლიკის თქმასთან ერთად წყალში შედის და ქრება).**

დასასრული.